

ნათია ჯიხვაშვილი

საწესდებო კაპიტალში არსებული წილის ცვლილება
ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2020 წელი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საავტორო უფლება © 2020 წელი, [ნათია ჯიხვაშვილი]

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

თარიღი :

რეზიუმე

ნაშრომში „საწესდებო კაპიტალში არსებული წილის ცვლილება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით“ განხილულია საწესდებო კაპიტალის არსი, წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითები, რომელიც შეეხება საწესდებო კაპიტალის წილის ცვლილებას, რომელსაც განსაზღვრავს წესდება ხმათა უმრავლესობით. ნამსჯელია სპეციალური ნორმების შექმნაზე, რომელიც მოაწესრიგებს საწესდებო კაპიტალის სამართლიან გადანაწილებას.

ნაშრომში ასევე საუბარია მინიმალური საწესდებო კაპიტალის დოქტრინასა და მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

ტექსტში ასევე, ნამსჯელია, საზოგადოების წესდებით მიღებული გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით, როგორც უკუშედეგი საზოგადოებასთვის და ამ საკითხის გადაჭრის გზებზე.

წინამდებარე ნაშრომი ორიენტირებულია წარმოაჩინოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულირების როლი წილობრივი თანაფარდობისას, რომელიც თავს იჩენს საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული უმეტესად საწესდებო კაპიტალში არსებულ ცვლილებებსა და ამ საკითხის მოწესრიგების გზებზე, როგორც სპეციალური ნორმების შექმნით ასევე სასამართლო პრაქტიკის სწორად ჩამოყალიბებით. ქართული კანონმდებლობის იმგვარი ჩამოყალიბებითა და პრაქტიკის გამოყენებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას დღევანდელ რეალობაში არსებულ წესრიგს და სამართალსუბიექტებს.

Abstract

This thesis “Change of shares of a charter capital in accordance with the national and international legislation” reviews the concept of a charter capital, it includes practical examples that refer to change of shares in charter capital that is specified by the articles of association based on majority of votes. Creation of special norms are discussed which will regulate fair distribution of a charter capital.

Minimal charter capital doctrine and its practical importance is reviewed in the thesis.

The resolution made in respect to change of charter capital based on articles of association is discussed in the text as a reverse effect for the association together with the ways of solving of this issue.

This thesis is focused on showing the importance of the role of legislative regulation in proportion of shares which appears during making of contribution to charter capital.

The thesis is generally focused on changes made in charter capital and the ways of regulation of these issues through creation of special standards and developing of a judicial practice in a correct manner. Developing of Georgian legislation in a manner and application of a practice that doesn't threat legal entities and order that exists in present reality.

Contents

რეზიუმე.....	iv
Abstract	v
შესავალი	7
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
I. საწარმოთა საწესდებო კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმები	9
1.1 საწესდებო კაპიტალის როლი.....	9
1.2. სავალდებულო საწესდებო კაპიტალი, როგორც საჯაროსამართლებრივი ელემენტი	11
2. საწესდებო კაპიტალის მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმე...14	
2.1. მინიმალური საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ჩარჩოს დანიშნულება	14
2.2 საწესდებო კაპიტალის ცვლილება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.....	17
III. ევროკავშირის დირექტივები	24
3.1. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი კორპორაციული სამართლის მარეგულირებელი დირექტივები საქართველოს კანონმდებლობაში	24
3.2 საწესდებო კაპიტალი გერმანულ სამართალში.....	25
IV საქართველოს სასამართლო პრაქტიკა	28
4.4 საწესდებო კაპიტალის ცვლილება კაპიტალში განხორციელებული შენატანების საფუძველზე	28
V. კაპიტალის დაცვა ევროპის საბჭოს მეორე კორპორაციულ-სამართლებრივი დირექტივის მიხედვით.....	34
5.1 მყარი კაპიტალის პრინციპი.....	34
5.2 საწესდებო კაპიტალი გერმანულ და ავსტრიულ სამართალში	34
VI .სააქციო საზოგადოების აქციონერთა უფლებები საწესდებო კაპიტალთან მიმართებით	36
6.1 საწესდებო კაპიტალით განპირობებული აქციონერთა უფლებები	36
6.2 კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, როგორც პარტნიორის გარიცხვის საფუძველი	40
6.3 პარტნიორთა წილობრივი მონაცემების ცვლილება.....	50
შედეგები და მათი განსჯა.....	Error! Bookmark not defined.

დასკვნა.....59

გამოყენებული ლიტერატურა.....61

შესავალი

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს საქართველოს სამართლის სისტემაში ჩამოყალიბებული დოქტრინის როგორც მინიმალური საწესდებო კაპიტალის, ასევე საწესდებო კაპიტალის ცვლილების საფუძვლის კვლევა, შედარებით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან. კონკრეტულად კი მასში ხარვეზების მოძიება (უმეტესად საქართველოს საწესდებო კაპიტალის დოქტრინაში და გამოსწორების გზის პოვნა).

საზოგადოების ჩამოყალიბება დამფუძნებელი პირებისგან რამდენიმე მნიშვნელოვან ქმედებას მოითხოვს. პარტნიორთა შორის არსებულ შეთანხმებასთან ერთად, რომელიც საზოგადოების წესდებაში წერილობით აისახება, პარტნიორები თანხმდებიან სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის საჭირო გასაერთიანებელი კაპიტალის ოდენობასა და მასში თითოეული მათგანის მონაწილეობის პროპორციულობაზე. 2008 წლის 14 მარტის ცვლილებამდე, საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი კაპიტალური საზოგადოებისათვის საკანონმდებლო დონეზე ადგენდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობის მოთხოვნას. 2008 წლის ცვლილებების შემდეგ, „თვითრეგულირებად“ წესებზე გადასვლამ განაპირობა წესდების კერძო ავტონომიის გაზრდა.¹

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები კაპიტალს ბიზნესის ქონებას უთანაბრებენ, „კაპიტალის“ სამართლებრივი დედაარსი სამეწარმეო საქმიანობის მესაკუთრეთა ერთსულოვანი თანხმობით გაერთიანებული ინვესტიციის რაოდენობაშია.²

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ბევრი საკითხო ღიად არის დარჩენილი და პასუხგაუცემელი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ზემოაღნიშნული კანონის მე-5 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის სათადადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება.³

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სირთულეები, რომელიც არ არის მოწესრიგებული, კერძოდ რამდენად აუცილებელია პარტნიორთა ერთსულოვანი თანხმობა საწესდებო კაპიტალის ცვლილების დროს და თუ არ არის თანხმობა რამდენად საჭიროა სასამართლოსთვის მიმართვა აღნიშნული საკითხის

¹ მახარობლიშვილი გ., მართლმსაჯულება და კანონი. გვ 100

² მახარობლიშვილი ი., კაპიტალურ საზოგადოებათა სტუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა საფუძველზე“, თბ., 2014, 60

³ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტი.

დასარეგულირებლად და რა როლი აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სამსახურს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, რადგან დღესდღეობით არსებულ თემასთან დაკავშირებით მასალისა და კვლევის სიმცირეა. ხოლო ჩემი ნაშრომი წარმოადგენს დოქტრინის საწესდებო კაპიტალის ცვლილების დახვეწის მცდელობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში „საწესდებო კაპიტალის ცვლილება წილთა თანაფარდობასთან მიმართებით“ არის მნიშვნელოვანი საკვლევები საკითხი, ვინაიდან ეს პრობლემა მომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის დაურეგულირებელი ნორმებიდან.

ამ პრობლემის შესახებ გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებები, თუ რაოდენ სირთულით ხასითდება, როდესა საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ცვლილებები არ აისახება წილობრივად.

მნიშვნელოვანი მსჯელობაა იურისტების სახელმძღვანელოში და ნაშრომში აღნიშნული საკითხი წარმოდგენილია.

პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა შემუშავდეს, კონკრეტული ნორმები, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს საზოგადოების კაპიტალი და საწესდებო კაპიტალი.

I. საწარმოთა საწესდებო კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმები

1.1 საწესდებო კაპიტალის როლი

საწესდებო კაპიტალი გერმანულენობანი ქვეყნების სამართლის ტრადიციული ინსტიტუტია. ზოგადად, საწესდებო კაპიტალით ქონების შეფასება ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას. საწესდებო კაპიტალი კრედიტორების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა. ის წარმოადგენს არამართო კრედიტორების დაკმაყოფილების საშუალებას, არამედ ცხადყოფს ბიზნესის წარმოების განზრახვის სერიოზულობაზე. სტაბილური კომერციული ურთერთობებისა და კრედიტორის ინტერესის დაცვისთვის სამეწარმეო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის არსებობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.⁴

უცხოური კანონმდებლობა არაერთგვაროვანია მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის საკითხთან მიმართებით. კაპიტალის ტრადიციული სისტემის მიხედვით კაპიტალი სრულად უნდა იქნეს გაწერილი და სრულად ან ნაწილობრივ შესრულებული, რათა საზოგადოების რეგისტრაცია მოხდეს, ევროპის ქვეყნების უმეტესობა ამ ტრადიციის მიმდევარია, თუმცა საწესდებო კაპიტალს სხვადასხვა ოდენობით განსაზღვრავენ. აშშ-ში შტატების უმეტესობისთვის კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური

⁴ გომხეთელიანი ნ., გალდავა დ., „საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ. თბილისი, დეკემბერი #4, 2015, 33-40

საწესდებო კაპიტალის ინსტიტუტი უცხოა. შტატების უმრავლესობამ საწესდებო კაპიტალი უპრობლემოდ გააუქმა.⁵

საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმები შეგვიძლია დავყოთ ამკრძალავ და აღმჭურველ ნორმებად. ამკრძალავი ნორმები შემზღვეული ბუნებისაა და მკაცრად გაწერს მოთხოვნებს, განსაზღვრავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობას. ხოლო აღმჭურველი პირს ანიჭებს თავისუფლებას განსაზღვროს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ნებისმიერი ოდენობით. გერმანულ კანონმდებლობაში ვხვდებით მიდგომას, როდესაც ნორმას აქვს, როგორც აღმჭურველი, ასევე ამკრძალავი ნიშნები. ასეთ შემთხვევაში გაწერენ კაპიტალის სავალდებულო მინიმალურ ოდენობას და მეორე მხრივ, პირს ანიჭებს თავისუფლებას აირჩიოს ამ მიზნის რეალიზების ვარიანტებიდან ერთ-ერთი.⁶

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ განიმარტება, როგორც კომპანიის დაარსების დროს განხორციელებული შენატანების ჯამი.⁷

საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შესატანი არის აქციონერის მთავარი ვალდებულება და მისი განუხორციელებლობით საზოგადოება ვერ დაფუნდება. საზოგადოების წესდებით განისაზღვრება წილთა პროპორციულობა და სხვა პირობები. აღსანიშნავია, რომ ევროპელი კანონმდებლისა და ქართული საკორპორაციო სამართლის სამართლებრივი მიდგომის განსხვავებას მათი ეკონომიკური განვითარების დონე განაპირობებს.⁸

⁵ იქვე

⁶ გომხეთელიანი ნ., გალდავა დ., „საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ. თბილისი, დეკემბერი #4, 2015, 33-40

⁷ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხ. 51.1

⁸ მახარობლიშვილი ი., მართლმსაჯულება და კანონი, გვ. 102-104

საწესდებო კაპიტალს აქვს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გავლენა ისეთ საკიხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- ✓ აქციონერთა ვალდებულების მინიმალური თანხის განსაზღვრა.
- ✓ აქციონერთა უფლებების განსაზღვრა საწესდებო კაპიტალში მათ პროპორციულ წილთან კავშირში.
- ✓ კრედიტორთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტი.⁹

1.2. სავალდებულო საწესდებო კაპიტალი, როგორც საჯაროსამართლებრივი ელემენტი

საწესდებო კაპიტალი საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მყარი საკანონმდებლო გარანტიაა. კანონმდებელი იმპერატიულ წესებს აწესებს, რათა დაცული იყოს კრედიტორთა ინტერესები. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის კანონი კაპიტალური ტიპის ორგანიზაციებისთვის სავალდებულო საწესდებო კაპიტალს ითვალისწინებდა. გამონაკლისი იმ კაპიტალურ საზოგადოებებზე ვრცელდებოდა, რომლის დამფუძნებელი ცენტრალური ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანო გახლდათ. კანონი სავალდებულო საწესდებო კაპიტალის არსებობას ადგენდა, თუმცა თითოეული საზოგადოების ტიპისთვის იგი კონკრეტულ ოდენობას არ აწესებდა. აღნიშნული კანონი მხოლოდ ზოგად მოწესრიგებას ემსახურებოდა.¹⁰

სახელმწიფო საწესდებო კაპიტალთან მიმართებით მკაცრ კონტროლს აწესებდა. სავალდებულო საწესდებო კაპიტალის განაწილება იმპერატიულად იკრძალებოდა. საწესდებო კაპიტალის გაზრდა დამატებითი შენატანის შეტანით ან ახალი პარტნიორის შემოსვლის

⁹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ.161

¹⁰ ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, თბილისი 2013, გვ 14

გზით დაიშვებოდა, რაც აუცილებლად სახელმწიფო რეესტრში უნდა დარეგისტრირებულიყო.¹¹

მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიორიულ სამსახურს და წარმოადგინოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია.¹²

აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრიდან კომპანიის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, როგორცაა ხელმძღვანელების, კომპანიის პარტნიორების, საწესდებო კაპიტალის შესახებ. რეესტრის მონაცემებზე კანონით უტყუარობის პრეზუმცია ვრცელდება.¹³

საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ხორციელდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. საწესდებო კაპიტალის ცვლილება გულისხმობს, როგორც საწესდებო კაპიტალის გაზრდას, ასევე შემცირებას.¹⁴

დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოადგინოს დოკუმენტი, კერძოდ პარტნიორთა კრების ოქმი¹⁵.

საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ხორციელდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. საწესდებო კაპიტალის ცვლილება გულისხმობს, როგორც საწესდებო კაპიტალის გაზრდას, ასევე

¹¹ ოქვე

¹² <https://napr.gov.ge/p/616>

¹³ ოქვე

¹⁴ ოქვე

¹⁵ ოქვე

შემცირებას. დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოადგინოს დოკუმენტი, კერძოდ პარტნიორთა კრების ოქმი.¹⁶

მიუხედავად ამისა, საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ცვლილების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის და საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ცვლილება ძალაშია სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის გარეშე.¹⁷

მეწარმეთა სახელმწიფო რეგისტრაცია მსოფილოს ყველა ქვეყანაში არსებობს. მეწარმეთა რეგისტრაციის მიზნებია:

- ✓ უპირველესი მიზანი, სახელმწიფომ საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით პირს ან პირთა ჯგუფს მიანიჭოს მეწარმის სტატუსი, რათა მათ თავისუფლად განახორციელონ ვაჭრობა , გასწიონ მომსახურება, მიიღონ მოგება და ქვეყანაში შექმნან მატერიალური დოვლათი, ხელი შეუწყონ მატერიალურ და ინტელექტუალურ განვითარებას.
- ✓ კონტროლის მექანიზმი, იმ თვალსაზრისით, რომ მეწარმეებმა ზუსტად დაიცვან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები, არ განახორციელონ საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი საქმიანობა, არ დაარღვიონ კანონი და ზნეობის ნორმები.
- ✓ სტატისტიკური მონაცემები, მეწარმეთა რაოდენობისა და მათი საქმიანობის შესახებ, რათა გაატაროს შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებები.
- ✓ მეწარმეებიდან გადასახადების აკრეფა.
- ✓ ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებას¹⁸.

¹⁶ საჯარო რეესტრის შესახებ კანონი, მუხლი 2.ზ ქვეპუნქტი

¹⁷ იქვე

¹⁸ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ლილუაშვილი გ.გვ 141

მეწარმის რეგისტრაცია მნიშვნელოვანია, რადგან საწარმო მხოლოდ მაშინ ხდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სუბიექტი, როდესაც რეგისტრირდება სამეწარმეო რეესტრში. აგრეთვე, სპს;შპს; სს და კოოპერატივი იურიდიული პირის სტატუსს მოიპოვებენ სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ¹⁹.

2. საწესდებო კაპიტალის მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმე

2.1. მინიმალური საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ჩარჩოს დანიშნულება

მინიმალური საწესდებო კაპიტალი საწყისი სახსრებით საწარმოს აღჭურვას ისახავს მიზნად. აქციონერები ვალდებული არიან, შენატანების განხორციელებით საწარმოს გარკვეული რაოდენობის ფინანსური საშუალებები გადასცენ. ამით ისინი ინაწილებენ სამეწარმეო საქმიანობის რისკს.²⁰

საწესდებო კაპიტალის ფუნქციებოდან გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია. კერძოდ:

¹⁹ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ლილუაშვილი გ141-142

²⁰ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ121

- ✓ საწესდებო კაპიტალი არის ქონების შევსების სავალდებულო მინიმუმი, რაც გულისხმობს რომ სამფუძნებლები ვალდებული საზოგადოებას შეუქმნან და გადასცენ მინიმალური კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ქონება²¹.
- ✓ საწესდებო კაპიტალი არის როგორც მინიმალური აუცილებელი ქონება, რაც ზემოთ ნახსენები პირველი ფუნქციიდან გამომდინარეობს და არის მინიმალური სავალდებულო ქონება. როდესაც საზოგადოების „წმინდა ქონების“ ღირებულება საზოგადოების კაპიტალს გადააჭარბებს მხოლოდ მაშინ შეიძლება საზოგადოებაში შემოსალი ქონება მოგების სახით გადანაწილდეს აქციონერებზე, უფრო კონკრეტულად კი ეს ის მოგებაა, რომელიც რჩება საზოგადოებას მაშინ როდესაც საზოგადოების აქტივს აკლდება საზოგადოების ვალები²².
- ✓ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეტანის ვალდებულებასაც საზოგადოების დამფუძნებლები ერთობლივად კისრულობენ და რომელიც მოწესრიგებულია კანონმდებლობით²³.
- ✓ საწესდებო კაპიტალი, როგორც პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარანტია, რაც გულისხმობს რომ კრედიტორებისთვის უფრო მისაღებია იმ საწარმოსთან ურთიერთობა, რომელსაც უფრო მეტი საწესდებო კაპიტალი აქვს და უფრო დიდი ქონება, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად კრედიტორი უფრო დაიმაყოფილებს თავის მოთხოვნას დიდი ქონებიდან, ვიდრე ნაკლები ქონებიდან²⁴.
- ✓ საწარმოს პარტნიორის ქონბრივი პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს რომ საწარმოს პარტნიორები პასუხისმგებელი არიან თავიანთ შენატანების მოცულობით²⁵.

²¹ ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში. ბურდული. გვ 84

²² ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში. ბურდული. გვ 85

²³ ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში. ბურდული. გვ 87

²⁴ ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში. ბურდული. გვ 88

²⁵ იქვე

შენატანის გზით უზრუნველყობა ქონება საზოგადოებას და იწყებს ეკონომიკურ საქმიანობას. ამ კონკრეტული გაგებით, „საწესდებო კაპიტალის“ არსებობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ინარჩუნებს შინაარს, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად - „საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა“. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა“. წარმოდგენილი დებულებები უდავოდ მიუთითებენ საწარმოს კაპიტალში სასტარტო შენატანების აუცილებლობაზე, კონკრეტული საწარმოს საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა ამონარიდი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებიდან - „იურიდიული პირი არის ... საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს ...“. შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის კაპიტალის არსებობა ყველა პარამეტრით სავალდებულოა, მისი ოდენობა კი, უპირველესად, თავად პარტნიორების გადასაწყვეტია, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს ბაზარზე სანდოობის მოპოვებაზე, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობაზე, მოგების მიღება/განაწილებაზე და სხვა“²⁶.

2008 წლის 14 მარის საკანონმდებლო ცვლილება ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკით იყო განპირობებული. იდეა მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკს ერთგვარ სტიმულირებას. თუმცა ბიზნესის განვითარების ნაცვლად ქვეყანამ მიიღო უამრავი კაპიტალური ტიპის საზოგადოება, რომელიც არ ფუნქციონირებს და მათი შექმნის ერთ-ერთ მიზეზს დაფუძნების სიმარტივე წარმოადგენდა. რაოდენობის

²⁶ თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, ქოქრაშვილი ქ. გორგაძე ლ., 2020 გვ. 28

გაზრდით ვერ მოხდა უმთავრესი მიზნების რეალიზება მეტი კაპიტალდაბანდების, სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკის ზრდა.²⁷

აღსანიშნავია, რომ კაპიტალის მინიმალურს ოდენობას განსაზღვრავს საწარმო, რადგან მეწარმეთა შესახებ კანონით არ არის დადგენილი მონიმალური საწესდებო კაპიტალი.

2.2 საწესდებო კაპიტალის ცვლილება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქმიანობის ბაზისი არის საწესდებო კაპიტალი, რომლის ფორმირებაც ხორციელდება ფულადი შენატანების მეშვეობით. ქონების გადაცემის დროს საზოგადოება იძენს სრულყოფილ ფორმას და ქმედუნარიანობას. ქონება ეს არის ყველა ნივთი, მატერიალური და არამატერიალური სიკეთე. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე გულისხმობს მოთხოვნებს და უფლებებს, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვას. შესაბამისად მის მფლობელს უნდა ჰქონდეს რაიმე სარგებლის მიღების პერსპექტივა.²⁸

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შესაძლებელია საწესდებო კაპიტალის ზრდა განაპირობოს სხვადასხვა ფაქტორმა, როგორცაა საწარმოს რეორგანიზაცია, განვითარება და ზრდის პროგრამები.²⁹

პროგრამები³⁰. არსებობს საწესდებო კაპიტალის გაზრდის ორი მეთოდი:

- ✓ გარე რესურსების გამოყენება, როდესაც კომპანია მოიზიდავს ფინანსურ რესურსებს არსებული პარტნიორებისა და მესამე მხარეებისგან³¹.

²⁷ თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, ქოქრაშვილი ქ, გორგაძე ლ, 2020 გვ 29

²⁸ თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, ქოქრაშვილი ქ, გორგაძე ლ, 2020 გვ 28

²⁹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ. 162

³⁰ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ. 162

³¹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ. 162

- ✓ საწესდებო კაპიტალის გაზრდა შიდა რესურსებით, როდესაც კომპანია იყენებს საკუთარ სახსრებს თავისი შიდა რესურსების კაპიტალიზაციის მიზნით³².

აგრეთვე არსებობს საწესდებო კაპიტალის ზრდის სამი მეთოდი:

- ✓ კაპიტალის ზრდა შენატანის საშუალებით
- ✓ კაპიტალის პირობითი ზრდა
- ✓ კაპიტალის ზრდა გაუნაწილებელი მოგებიდან.³³

მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილია პროცედურები, რომელსაც უნდა იცავდეს იცავდნენ საწარმოები, იმისათვის რომ გაზარდონ საწესდებო კაპიტალი. მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად პარტნიორთა საერთო კრება ასრულებს წამყვან როლს საწესდებო კაპიტალის ზრდაში, რამდენადაც იგი იღებს საწესდებო კაპიტალის ზრდის გადაწყვეტილებას³⁴.

აღსანიშნავია, სასამართლოს განმარტება კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებით. სასამართლო განმარტავს რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში გადაწყვეტილებების, მათ შორის კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ხმათა ოდენობის განსაზღვრა კანონმა მიანდო თავად პარტნიორებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დაფუძნების მომენტშივე დაადგინონ თუ რომელი გადაწყვეტილების მიღება რა ოდენობის ხმებით უნდა განხორციელდეს³⁵.

ეკონომისტი, გიორგი ისაკაძე, თავის სტატიაში ყურადღებას ამახვილებს საწესდებო კაპიტალის ცვლილებისთან დაკავშირებულ საკითხზე. მისი თქმით კაპიტალურ საზოგადოებაში პარტნიორის

³² იქვე

³³ იქვე

³⁴ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ.164

³⁵ 28/392-15

უფლება განისაზღვრება საზოგადოებაში მისი შენატანის შესაბამისად. მისი თქმით ამ ფუნდამენტური დებულების საწინააღმდეგო დებულებათა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის 5სეკუნდა მუხლი, რომლის მიხედვით საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, იმ პარტნიორის კუთვნილი წილი, რომელიც არ განახორციელებს დამატებით შენატანს და არ დაეთანხმება საწესდებო კაპიტალის გაზრდას არ შეიძლება შეიცვალოს თვით ამ პარტნიორის თანხმობის გარეშე. ისაკაძის განცხადებით თუნდაც მცირე წილის მფლობელი პარტნიორის წინააღმდეგობის პირობებში საზოგადოება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება მეწარმეობის არსს³⁶.

ისაკაძის განცხადებით საქართველოს სააპელაციო სასამართლოში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვით მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 სეკუნდა პუნქტი განიმარტა, რომ კანონის არსებობა, მეწარმეობის განვითარება და პარტნიორის ბიზნესში დარჩენის აზრი მიეცა. სასამართლომ მიიჩნია რომ სანამ პარტნიორის უფლება პროპორციულია კომპანიის კაპიტალში მისი შენატანის და ეს შენატანი ხელუხლებელია, ხოლო პარტნიორის კაპიტალის გაზრდა დასაბუთებულია, ამ შემთხვევაში შესაძლებელია პარტნიორის წილის პროცენტული გამოთვლა და საქმე არ გვაქვს პარტნიორის უფლების დარღვევასთან, კერძოდ მისთვის ისეთი ვალდებულების დაკისრება რაც გავლენას მოახდენს წილზე³⁷.

შესაბამისად, საქმიანობის ბაზისი არის საწესდებო კაპიტალი, რომლის ფორმირებაც ხორციელდება ფულადი შენატანების მეშვეობით. ქონების გადაცემის დროს საზოგადოება იძენს სრულყოფილ ფორმას და ქმედუნარიანობას. ქონება ეს არის ყველა ნივთი, მატერიალური და არამატერიალური სიკეთე. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე გულისხმობს მოთხოვნებს და უფლებებს, რომელიც შეიძლება გადაეცეს

³⁶ <https://forbes.ge/news/1219/umciresobis-saxeliT>

³⁷ <https://forbes.ge/news/1219/umciresobis-saxeliT>

სხვას. შესაბამისად მის მფლობელს უნდა ჰქონდეს რაიმე სარგებლის მიღების პერსპექტივა. ქონება გულისხმობს როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ნივთებს. პირი ქონების მესაკუთრეა იმ შემთხვევაში, თუ ფლობს, სარგებლობს და კანკარგავს აღნიშნულ ქონებას. საჯარო რეესტრის მეშვეობით შეგვიძლია გავარკვიოთ რა ქონების მესაკუთრეა. იურიდიული პირის ერთ-ერთი ნიშანი არის დამოუკიდებელი ქონება, რომელიც გამიჯნულია წევრთა პირადი ქონებისგან. წევრთა საკუთრებაში მხოლოდ ის წილები შედის, რომლებსაც ისინი შესატანების შეტანის გზით მოიპოვებენ. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსაურების გაწევა. საწესდებო კაპიტალის ფორმირება ხორციელდება შენატანის მეშვეობით. საწესდებო კაპიტალი შენარჩუნების ფუნქციის მატარებელია, რადგან საზოგადოებაში დაცული იყოს, ის არსებითი საწესდებო ბალანსი, რომლის საფუძველზეც არსებობს ის. საწესდებო კაპიტალის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საწესდებო კაპიტალი, როგორც საზოგადოების დაფუძნების წინაპირობა, ასევე საწესდებო კაპიტალი, როგორც საზოგადოების პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარანტია.

დამატებითი შენატანების შეტანა, როგორც წესი მიზნად ისახავს საზოგადოების კაპიტალის გაზრდას, თუმცა სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის გაზრდის დამოუკიდებელი ღონისძიებები არსებობს. კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს. კაპიტალის გაზრდა საზოგადოების თავისუფალი გადაწყვეტილების საგანია. აღსანიშნავია, რომ შპს-ს სამართლებრივ ფორმაში დამატებითი შენატანის შეტანა პარტნიორის წევრობის შემადგენელი ნაწილია, ხოლო სააქციო საზოგადოებისთვის კი კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია ახალი აქციების გამოშვების ან სხვა

ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. შესატანის ჟეროვანი განხორციელება აქციონერის უმთავრესი უმთავრესი მოვალეობაა, რომლის დარღვევამ შესაძლებელია მისი საზოგადოებიდან გარიცხვა გამოიწვიოს.

მეორე დირექტივა საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. კაპიტალის გაზრდა აქციონერებისათვის დამატებითი სახსრების მოძიების საშუალებაა³⁸.

საწესდებო კაპიტალის გაზრდას აქციონერისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობის სტაბილურობა. აქციონერი, ახალი აქციების შემენით ინარჩუნებს გავლენას სააქციო საზოგადოებაში³⁹.

აქციათა უმრავლესობის მფლობელის უმცირესობაზე გავლენის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია. ევროპის კორპორაციული სამართალი მსხვილი აქციონერების გავლენის ზრდასა და უმცირესობის ინტერესთა შორის გარკვეული წონასწორობის მიღწევას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით, პირველ რიგში საყურადღებოა კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი. რადგან კაპიტალის გაზრდა ძირითადად აქციონერთა უფლებებს ეხება, მასზე გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს. აქციონერთა საერთო კრებამ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს წარმოდგენილი კაპიტალის ნახევარზე მეტი ხმებით, თუმცა დასაშვებია ეროვნული კანონმდებლობით უფრო მკაცრი წინაპირობები იქნეს დადგენილი. ევროპის სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (C-19/90, C-20/90, (Karella) აღნიშნულია, რომ საერთო კრების გადაწყვეტილებიდან გადახვევა დაუშვებელია⁴⁰.

კაპიტალის შესახებ დირექტივა არეგულირებს კაპიტალში შენატანის განხორციელების საკითხებს. კაპიტალის გაზრდის რეგულირება

³⁸ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ. 49

³⁹ იქვე

⁴⁰ იქვე

დირექტივის მიხედვით წარმოადგენს საჭირო გარანტიას. კაპიტალის გაზრდა უკვაშირდება ბერ საკითხს. კაპიტალი ქმნის დამატებით საფრთხეებს⁴¹.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალის გაზრდასა და შემცირებაზე გავლენის მოხდება ხდება აქციათა ყიდვა გაყიდვით. ახალი კაპიტალის მოზიდვის მიზნით, კომპანიებმა ორმალურად უნდა გაზარდონ თავიანთი კაპიტალი. კაპიტალის გაზრდისთვის კომპანიებმა უნდა გაიარონ გარკვეული პროცესი.

- ✓ კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებამ.
- ✓ შენატანის მოთხოვნების ასახავს კომპანიის დაფუძნებისას არსებულ მოთხოვნებს.

საწესდებო კაპიტალის შემცირების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.მის შემცირებას შესაძლებელია მოჰყვეს ზოგიერთი აქციონერის პროვილეგირება სხვების ხარჯზე. საჭიროა ყველა აქციონერის მიმართ თანამბარი მოპყრობის უზრუნველყოფა.მიუხედავად იმისა რომ მეწარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი საწესდებო კაპიტალის შემცირებაზე აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება⁴².

საწესდებო კაპიტალის შემცირება საწარმოს მოგებაში აქციონერთა თანხობრივი მონაწილეობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა. კაპიტალის შემცირება შეიძლება აქციონერის შენატანის შენატანის ვალდებულებისაგან განთავისუფლების მიზნითაც განხორციელდეს. ევროპული კონცეფციიდან გამომდინარე სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი კრედიტორთა სასარგებლოდ დაცული საგარანტიო ფონდია. ფინანსური პობლემების სარმოშობისას მან ხელი უნდა შეუწყოს საწარმოს გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას. აქედან

⁴¹ ბაქაქური ნ.,გელტერი მ.,ცერცვაძე ლ.,ჯუღელი გ.სახელმძღვანელო იურისტებისთვის,190

⁴² კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ 164

გამომდინარე, კაპიტალის შემცირება სწორედ კრედიტორთა ინტერესებს უქმნის საფრთხეს, ამცირებს საგარანტიო ფონდის მოცულობას⁴³.

კაპიტალთან დაკავშირებული ღონისძიებებები საწარმოს საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება. საწესდებო კაპიტალის შემცირება აქციებს თანაბრად ეხება. ამიტომ საწესდებო კაპიტალში მათი პროპორცია არ იცვლება. საწესდებო კაპიტალის შემცირების ერთ-ერთი გზაა აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირება⁴⁴.

⁴³ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ. 55

⁴⁴ იქვე

III. ევროკავშირის დირექტივები

3.1 ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი კორპორაციული სამართლის მარეგულირებელი დირექტივები საქართველოს კანონმდებლობაში

დირექტივების საფუძველზე ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახორციელებენ ცვლილებებს მათ კანონმდებლობაში. დირექტივები მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს ადგენენ, რადგან შეუძლებელია განსხვავებული ქვეყნების კანონმდებლობის ერთმანეთისადმი სრული მიმსგავსება. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ითვალისწინებს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც დადგენილია აღნიშნული დირექტივების მიერ, თუმცა არსებობს განსხვავებებიც. რიგ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს.⁴⁵

საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით არ არის დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა ანუ არ გვაქვს დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი. „მეწარმეთა შესახებ“ 51-ე მუხლის მიხედვით, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებობს განსხვავებები მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით. დიდ ბრიტანეთს საერთოდ არ აქვს მინიმალური საწესდებო კაპიტალი დაწესებული, თუმცა სააქციო საზოგადოების შემთხვევაში შესაძლებელია შეიზღუდოს მათი საქმიანობა თუ არ არსებობს მინიმალური საწესდებო კაპიტალი. საფრანგეთში შპს-ს დაფუძნებისთვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი, ასევე გერმანიაში შპს-ს რეგისტრაციისთვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი.

⁴⁵ <http://www.g-p.ge/files/upload-file/pdf/newsletter-10.pdf> გვ1-3

საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით ეს არის ძირითადი გასხვავება საქართველოს კანონსა და ევროკავშირის დირექტივებს შორის.⁴⁶

კავშირის სამართლის ამოცანაა ეროვნულ კანონმდებლობათა ერთგვაროვნების გარკვეული დონის უზრუნველყოფა. იგი წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის სრულ მსგავსებას არ ესწრაფვის, ამიტომ საერთო ევროპული დირექტივები ზოგადი ხასიათისაა⁴⁷.

3.2 საწესდებო კაპიტალი გერმანულ სამართალში

გერმანულ სამართალში სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შენატანებით გაზრდა კაპიტალის მოზიდვის დამხმარე საშუალებად მოაზრება. ამიტომ სააქციო კანონი კრძალავს კაპიტალის გაზრდას, თუ სახსრების მოზიდვა განუხორციელებელი შენატანების ხარჯზე ჯერ კიდევ შესაძლებელია. შეუძლებლობის მიზეზები კაპიტალის გაზრდის რეგისტრაციის განაცხადში საგანგებოდ უნდა იყოს მითითებული⁴⁸.

ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციისგან განსხვავებით, გერმანული საკორპორაციო სამართლის მოითხოვს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, რომელიც გერმანული შპს-სთვის წარმოადგენს 25000 ევროს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შპს ყველაზე მატად არის გავრცელებული გერმანიაში. ეკონომისტები თვლიან, რომ მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რომელიც ადეკვატური იქნება ყველა ბიზნესისთვის, ვერ დადგინდება, თუმცა მოქნილი საწესდებო კაპიტალი ბიზნესის ზომისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, არ არის კანონით დადგენილი⁴⁹.

საწარმოს დაფუძნების პროცესში საწესდებო კაპიტალის შექმნა და მისი შემდგომი ზრდა ფულად და ქონებრივ შენატანთა განხორციელებას

⁴⁶ იქვე

⁴⁷ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი.გვ 72.

⁴⁸ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი.გვ 92

⁴⁹ სამართლის ჟურნალი #2;მგელაძე; გვ.67-68

გულისხმობს. კაპიტალის გაზრდის კანონიერებაზე კონტროლი მარეგისტრირებელი სასამართლოს პრეროგატივაა. საზოგადოების ხელმძღვანელები სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად სასამართლოს წარუდგენენ: კაპიტალის გაზრდის შესახებ აქციონერთა გადაწყვეტილებებს, ინფორმაციას აქციონერების შემძენთა ვინაობისა და გადახდილი შენატანების შესახებ, აგრეთვე არაფულადი შენატანის ღირებულებისა და საწარმოსთვის მათი გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. კაპიტალის გაზრდაზე ასევე ვრცელდება ფარული ქონებრივი შენატანისა და ფულადი შენატანის ფარული დაბრუნების წესები. საწესდებო კაპიტალის გაზრდა სააქციო საზოგადოების წესდების ცვლილების საფუძველია. სააქციო კანონიდან გამომდინარე, წესდების შეცვლა აქციონერთა კომპეტენციას მიეკუთვნება⁵⁰.

გერმანული სააქციო სამართალი სააქციო კაპიტალის შემცირების ორ სახეს იცნობს: ჩვეულებრივსა და გამარტივებულს⁵¹.

საწესდებო კაპიტალის გამარტივებული შემცირება ხდება მაშინ, როდესაც საწარმოს დამდგარი ან მოსალოდნელი ზარალის დაფარვის ან თანხების კაპიტალურ რეზერვებში გადაანისთვის გამოიყენება, შესაბამისად სააქციო საზოგადოებას კაპიტალის გამარტივებული შემცირება ეკრძალება თ ის ზარალის დასაფარად თავისუფალ სახსრებს ჯერაც ფლობს. იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელი ზარალი არ დადგა, კაპიტალის შემცირების თანხა კაპიტალურ რეზერვს ემატება⁵².

საწესდებო კაპიტალის სისტემაში ნატურით შენატანები ქმნიან განსაკუთრებულ პრობლემებს, შეფასების გაურკვევლობის გამო. რადგან ნატურით განხორციელებული შენატანის დროს შესაძლებელია იყოს უსამართლო სხვა აქციონერებთან შედარებით, რომლებმაც განახორციელეს ფულადი შენატანი და ასევე შესაძლებელია

⁵⁰ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ 93

⁵¹ კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ 98

⁵² კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი. გვ 99

კრედიტორების ვადაუდი კაპიტალის არსებობასთან დაკავშირებით მცდარი აღმოჩნდეს⁵³.

ზოგადად, კომპანიის დაარსებისას შენატანი შეიძლება მატერიალური და არამატერიალური აქტივების, შრომის და მომსახურების სახით. მეწარმეთა შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი შეფასების შესახებ, რომელიც შეიძლება განისაზღვროს პარტნიორთა შეთანხმებით.თუ ნატურალური შენატანის ღირებულება არ არის განსაზღვრული ურთიერთშეთანხმებით, მაშინ პარტნიორებმა ასეთი შენატანის შეფასება უნდა მიანდოს დამოუკიდებელ შემფასებელს⁵⁴.

ევროპული კორპორაციული სამართლის მიხედვით,საწესდებო კაპიტალის შევსება დასაშვებია ფულით ან ისეთი ქონებით, რომლის ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია⁵⁵.

არაფულადი შენატანის შეფასების საკითხი მსჯელობის ობიექტად ევროპული კორპორაციული სამართლის მოდერნიზების პროცესში იქცა. ექსპერტთა აზრით, არაფულადი შენატანის შემოწმება დამატებით ხარჯებთან და დროსან არის დაკავშირებული.ყოველთვის ვერ მიიჩნევა აუცილებლად ან დამატებითი სარგებლის მომტანად⁵⁶.

⁵³ ბაქაქური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის. 2019. გვ.68

⁵⁴ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველოს 2010 წ., გვ 164

⁵⁵ ჯუღელი „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“ გვ 22.

⁵⁶ იქვე

IV საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

4.4 საწესდებო კაპიტალის ცვლილება კაპიტალში განხორციელებული შენატანების საფუძველზე

სასამართლოებმა საკოროპრაციო დავის განხილვისას უნდა გამიჯნონ ერთმანეთისგან საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსაც, ხოლო საწესდებო კაპიტალი საზოგადოების კაპიტალის იდენტური არ არის⁵⁷.

საზოგადოების კაპიტალი უფრო ფართო ცნებაა, ხოლო საწესდებო კაპიტალი ვიწრო ცნება. საზოგადოების კაპიტალში თანხის შეტანა ვერ იქნება დაკავშირებული მისი წილის ცვლილებასთან, მაგრამ თუ კრება მიიღებს გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანის შესახებ, ეს წილთა თანაფარდობაზეც უნდა აისახოს. შესაბამისად საწესდებო კაპიტალის ცვლილება იწვევს წილთა თანაფარდობის ცვლილებას⁵⁸.

თუ პარტნიორებმა გამოხატეს ნება საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანაზე და აღნიშნული შესრულდა, იგულისხმება წილის ცვლილება, რადგან სწორედ საწესდებო კაპიტალია დაკავშირებული წილებთან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პარტნიორთა ნება უკვე გამოხატულია და დავა მოსარჩელის სასარგელოდ უნდა გადაწყდეს⁵⁹.

მიუხედავად ამისა, საქართველოში გვაქვს პრაქტიკა, რომლის მიხედვით მოსარჩელე ითხოვს კრების ოქმის კანონიერად აღიარებას და პარტნიორთა შორის წილების თანაფარდობის ცვლილებას. მოცემულ

⁵⁷ ბაქაძური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ. საკოროპრაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისათვის. 2019. გვ.64

⁵⁸ იქვე

⁵⁹ იქვე

საქმეში იურიდიული პირის, ამ შემთხვევაში შპს-ს მეწილეები არის ოთხი პირი. აქედან უმეტესი წილის მფლობელს 51% აქვს, უმცირესი წილის მფლობელს 9%, ხოლო დანარჩენი ორი, თითოეული 20%-იანი წილის მფლობელია. აღნიშნული სააპელაციო გადაწყვეტილება მიღებულია 2019 წლის 26 დეკემბერს.

ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება შემდეგი: 2018 წელს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა 2010 წლის კრების ოქმის მიხედვით საწესდებო კაპიტალში შენატანის გამო განხორციელებულიყო ცვლილება.

2010 წელს შედგა შპს-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდა ყველა პარტნიორი. დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანების განსაზღვრა. კრებაზე ყველა დამფუძნებლის თანხმობით განისაზღვრა საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანები. აღნიშნული კრების ოქმის საფუძველზე მოსარჩელე ითხოვდა ცვლილების რეგისტრაციას.

პარტნიორებმა ერთობლივი შეთანხმებით საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანების განსაზღვრის საფუძველზე რამდენიმე კრება ჩაატარეს, რის გამოც იზრდებოდა საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი, თუმცა აღნიშნული გარემოება სამეწარმეო რეესტრში არ ყოფილა ასახული.

2018 წელს ჩატარდა რიგგარეშე კრება, რომელსაც ესწრებოდა ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი, დღის წესრიგი შეეხებოდა პარტნიორთა შენატანის შესაბამისად წილთა განსაზღვრას. ვინაიდან კრებას არ ესწრებოდა დანარჩენი სამი პარტნიორი საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა რეგისტრაციაზე, რადგან აღნიშნული ცვლილება საჭიროებდა რეგისტრაციას.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წესდების ცვლილების მიუხედავად, არ მომხდარა

პარტნიორთა წილების გაზრდა ან შემცირება.რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დამფუძნებელმა არ გახადა სადავოდ წილების გადანაწილების საკითხი.

სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების მიზნით მიუთითა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის ნორმებზე და განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილია წესდების სხვადასხვა რედაქცია წილების მიხედვით, რომელსაც ყველა დამფუძნებელი ადასტურებს ხელმოწერით. გაანსაზღვრულია, რომ წესებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მოხდეს ყოველწლიურად დამფუძნებელ პარტნიორთა დასაბუთებული მოსაზრების საფუძველზე. წესდების ყველა რედაქციაში საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია და უცვლელად არის შენარჩუნებული პარტნიორთა წილობრივი თანაფარდობა.

სასამართლოს შეფასებით, არ დარღვეულა კრების მოწვევის პროცედურა. 2010 წელს კრების ოქმის გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად დამფუძნებლების მიერ და დღის წესრიგში არ ყოფილა განხილული საკითხები წილების პროპორციული გადანაწილების შესახებ, ამდენად სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია პარტნიორთა უფლება-მოვალეობებში შეჭრა.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოთხოვნა კრების ოქმის კანონიერად აღიარების თაობაზე ხანდაზმულია, რადგან კრება შედგა 2010 წელს და გასულია ხანდაზმულობის ვადებიც. ამდენად სასამართლომ არ დააკმაყოფილა კრების ოქმის კანონიერად არიარება და უსაფუძვლოდ განიხილა ასევე მეორე მოთხოვნა საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ.

აპელანტის განმარტებით, 2010 წლის კრების ოქმის ნამდვილობა სადავო არ ყოფილა , იგი ხელმოწერილია ყველა პარტნიორის მიერ. სადავოა მხოლოდ ის ნაწილი , უნდა მოხდეს თუ არა ამ კრების ოქმის შესაბამისად წილების გადანაწილება. აპელანტის მითითებით,

პარტნიორებმა საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანის ნება გამოხატეს , ამდენად შეფასების საგანია, მხოლოდ ის გარემოება, იწვევს თუ არა საწესდებო კაპიტალის გაზრდა ცვლილებას შეტანილი თანხების პროპორციულად.

აპელანტის მითითებით საკორპორაციო დავოს განხილვისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საზოგადოების საწესდესდებო კაპიტალი და საზოგადოების კაპიტალი. თავისი არსით საზოგადოების კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსაც, ხოლო საწესდებო კაპიტალი საზოგადოების იდენტური არ არის.ამდენად საზოგადოების კაპიტალი ფართო ცნებაა, ხოლო საწესდებო კაპიტალი ვიწრო ცნება და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაში როდესაც პარტნიორებს შორის წილების ოდენობაზე მიმდინარეობს დავა. საზოგადოების კაპიტალში თანხის შეტანა პარტნიორის მიერ ვერ იქნება დაკავშირებული მისი წილის ცვლილებასთან, მაშინ როდესაც თუ კრება მიიღება გადაწყვეტილებას საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანის შესახებ, ეს უკვე თავისთავად ცხადია, წილთა თანაფარდობაზეც აისახება.

აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტმა მიუთითა , რომ პარტნიორებმა გამოხატეს ნება საწესდებო კაპიტალში და არა საზოგადოების კაპიტალში თანხის შეტანის თაობაზე და შეიტანეს კიდევ კრების ოქმით განსაზღვრული თანხები და იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული სადავოდ არ არის ქცეულია, სწორი სამართლებრივი შეფასების პირობებში, ცხადია, რომ შეტანილი თანხის პროპორციულად უნდა შეიცვალოს კიდევ წილები, რადგან პარტნიორთა ნება აქეთ იყო მიმართული, როდესაც საწესდებო კაპიტალში შეიტანეს თანხები და არ მიიღეს გადაწყვეტილება კომპანიის სხვა გზით დაფინანსების შესახებ.

წინამდებარე შემთხვევაში აპელანტი მოითხოვს 2010 წლის 23 დეკემბრის კრების ოქმის შესაბამისად განხორციელებული შენატანისა და განსაზღვრული საწესდებო კაპიტალის პროპორციულად საწარმოს

პარტნიორთა წილობრივი თანაფარდობის ცვლილებას, რის გამოც პალატის შესაფასებელია კრების ოქმის ნამდვილად აღიარება განაპირობებს თუ არა საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებას.

პალატამ განმარტა, რომ კომპანიის წილი წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რომელთან მიმართებითაც საკუთრების უფლების წარმოშობისთვის სავალდებულოა შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და კანონისმიერი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, რაც რეგულირებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა მიუღწევადია, რამეთუ თავად პარტნიორებს ნება წილობრივი მონაწილეობის ცვლილებასთან დაკავშირებით არ გამოუვლენია და არც მითითებული კრების ოქმის ნამდვილობას ხდიან სადავოდ, არამედ სადავოა გარემოება წარმოშობს თუ არა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებას, მაშინ როდესაც პარტნიორთა მხრიდან ამგვარი ნება კრებაზე დაფიქსირებული არ არის. ვინაიდან როდესაც დადასტურებულია გარემოება, რომ კრების ოქმის ფარგლებში პარტნიორთა მხრიდან არ გამოვლენილა ნება წილობრივი თანაფარდობის ცვლილებასთან მიმართებით, მისი თუნდაც სასამართლოს მხრიდან ნამდვილად აღიარება არ განაპირობებს წილთა თანაფარდობის ცვლილებას., შესაბამისად პალატა მიიჩნებს, რომ აღნიშნულ ნაწილში გაუმართლებელია მოსარჩელის ინტერესი, რადგანაც ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივი მდგომარეობის

გაუმჯობესებას. აღნიშნულ ნაწილში მოსაჩეღის იურიდიული ინტერესი გაუმართლებელია.⁶⁰

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ერთი შეხედვით კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის შეუსაბამოა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხზე ხშირი სასამართლო პრაქტიკა არ გვაქვს, რაც გამოიწვევდა ახალი პრაქტიკისა და შესაბამისი ნორმების დამკვიდრებას.

ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიღო არამართლზომიერი გადაწყვეტილება, ვინაიდან მხარეებმა განახორციელა საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა, რაც აპრიორი გულისხმობს წილთა თანაფარდობის ცვლილებას. მოცემულ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები ვინაიდან ვფიქრობ, სასამართლოს უნდა ემსჯელა საწესდებო კაპიტალის დანიშნულებაზე და გაემიჯნა საწარმოს საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების კაპიტალი. საწარმოს საწესდებო კაპიტალის გაზრდა, სწორედ წილთა თანაფარდობაზე უნდა აისახოს.

⁶⁰ ას-412-395-2016

V. კაპიტალის დაცვა ევროპის საბჭოს მეორე კორპორაციულ-სამართლებრივი დირექტივის მიხედვით.

5.1 მყარი კაპიტალის პრინციპი

მეორე დირექტივის მიხედვით, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის უმცირესი ოდენობა 25000 ევროს შეადგენს⁶¹.

დებულების საბოლოო რედაქცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ამგვარად არ ზღუდავს. თანამედროვე ავტორთა უმრავლესობა სამართლიანად მიუთითებს, რომ საწესდებო კაპიტალი კორპორაციის სამეწარმეო საფრთხეების მცირე ნაწილის გამანეიტრალებლად თუ გამოდგება. როგორც წესი სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე დანაკარგის რისკი, თუკი საწარმოს სირთულეებმა იჩინა თავი, გაცილებით უფრო დიდია ვიდრე საწესდებო კაპიტალის ოდენობა. დღეის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალი მხოლოდ დამფუძნებელთა განზრახვის სერიოზულობას ადასტურებს. შენატანის განხორციელებით დამფუძნებლები ინვესტორებს თავიანთი წამოწყების სერიოზულობას უდასტურებენ⁶².

5.2 საწესდებო კაპიტალი გერმანულ და ავსტრიულ სამართალში

კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი გერმანულენოვანი ქვეყნების სამართლის ტრადიციული ინსტიტუტია. ავსტრიული სამართლის მიხედვით, რომ დაფუძნდეს კაპიტალური ტიპის საზოგადოება საჭიროა პარტნიორებმა გარკვეული შენატანის შეტანის გზით შექმნას საწარმოს საწესდებო კაპიტალი, რომელიც კანონით არის განსაზღვრული.⁶³

⁶¹ მეორე დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი

⁶² ჯუღელი „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“ გვ 21.

⁶³ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ბურდული, გვ 210-212

ფულადი და არაფულადი საშუალებების მოზიდვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ცალკე ქონების არსებობა, რაც კორპორაციის წევრისაგან დამოუკიდებელია კაპიტალურ საზოგადოებაში, თავის მხრივ პასუხისმგებლობის შინაარსის განსაზღვრას ემსახურება. საწარმოს დაფუძნებისთვის პარტნიორებმა შესაბამისი კაპიტალი უნდა მოიძიონ და საზოგადოებას გადასცენ.⁶⁴

კორპორაცია, კაპიტალის განცალკევების გამო მაღალი ხარისხის გამო კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სრული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე წარმონაქმნად გამოდის. ასეთ კორპორაციაში საწესდებო კაპიტალი ცალკე მდგომია, რომელიც კრედიტორების წინაშე დამოუკიდებლად აგებს პასუხს. ხოლო წევრები საწარმოს მიერ დადებული კარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლნი არიან იმ შენატანების მოცულობით, რაც მათ გაიღეს თავდაპირველი კაპიტალის შედგენისას. ეს პრინციპი მოქმედებს, როგორც ავსტრიულ და გერმანულ, ისე ამერიკულ და ქართულ სამართალში. შესაბამისად კაპიტალური საზოგადოების დაფუძნებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ პარტნიორთა შეთანხმება სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად განხორციელების თაობაზე. აუცილებელია, მათი შეთანხმება შენატანთან დაკავშირებით და აუცილებელი საწესდებო კაპიტალის შექმნა⁶⁵.

⁶⁴ იქვე

⁶⁵ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ბურდული, გვ. 210-212

VI .სააქციო საზოგადოების აქციონერთა უფლებები საწესდებო კაპიტალთან მიმართებით

6.1 საწესდებო კაპიტალით განპირობებული აქციონერთა უფლებები

საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორი გარდა პიზიკური პირისა შეიძლება იყოს იურიდიული პირიც.საზოგადოების საწესდებო კაპიტალს ქმნის პარტნიორთა შენატანები.თითოეულ პარტნიორს ერთი ხმა აქვს თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორს შეუძლია განახორციელოს, როგორც საზოგადოების მართვა ასევე მისი წარმომადგენლობა⁶⁶.

პარტნიორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს წილს საზოგადოებაში,სარგებლობს ხმის უფლებით, იღებს კუთვნილ დივიდენდს,სეუძლია უხელმძღვანელოს ან/და განახორციელოს წარმომადგენლობა ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ხელმძღვანელობით უფლებამოსილებაში იგულისხმება საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღება, ხოლო წარმომადგენლობითი გულისხმობს საწარმოს სახელით მესამე პირებთან გამოსვლას⁶⁷.

კანონმდებელი აქციონერს უდგენს უფლებებს, რომლის მიხედვით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში, გაუწიოს კონტროლი საზოგადობას, მიიღოს მისთვის საჭირო და ამომწურავი ინფორმაცია საწარმოს შესახებ, განსაზღვროს შესაბამისი რისკები.სააქციო საზოგადოების ნება სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება. აქციონერთა საერთო კრებაზე ყალიბდება საწარმოს ძირითადი პოლიტიკა.ამ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდება შეუძლიათ აქციონერებს.თუმცა კაპიტალური ტიპის საზოგადოების ამ სამართლებრივი ფორმისთვის განსაკუთრებულად არის დამახასიათებელი უმრავლესობისა და უმცირესობის მდგომარეობის განსაზღვრის საკითხი.ასეთი ტიპის საწარმოში განსაკუთრებით

⁶⁶ საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, გვ 26

⁶⁷ იქვე

იგრძნობა საჭიროება იმის, რომ უმრავლესობაში მყოფმა პარტნიორმა არ გამოიყენოს თავისი დომინანტირი მდგომარეობა საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი ასეთი დამოკიდებულებით ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას და უმცირესობაში მყოფ პარტნიორს. ამიტომ სააქციო კანონმდებლობა განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და იცავდეს და იცავდეს იმ აქციონერს, რომელიც უმრავლესობაში მყოფ აქციონერთან შედარებით უფრო „არათანაბარ მდგომარეობაშია“ ჩავარდნილი.⁶⁸

აგრეთვე შესაძლებელია უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა ბოროტად გამოიყენოს თავისი მდგომარეობა, რაც სხვადასხვა ასპექტში შეიძლება გამოვლინდეს. სააქციო სამართალი უნდა აძლევდეს უმცირესობას უმრავლესობის „თავდასმისაგან“ დაცვის შესაძლებლობას და უმრავლესობას უნდა ჰქონდეს ვალდებულება უმცირესობაში მყოფ აქციონერს ანგარიში გაუწიოს. თუმცა პარტნიორთა ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევა არ უნდა გახდეს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების უკანონო ხელმძღვანელობა. უმცირესობაში მყოფ პარტნიორს უნდა დაუდგინდეს ისეთი უფლებები, რომელიც დაიცავს მას. ჰქონდეს შესაძლებლობა გადაარჩინოს და დაიცვას აქციები. თუმცა უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიმართ გადამეტებული ყურადღება და მისი უფლებების დაცვისთვის შესაბამისი ნომრების შემოღებამ შესაძლებელი გამოიწვიოს მათი უფლებების ფოროტად გამოყენება. ამიტომ არ უნდა მოხდეს, ისე რომ უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა ეცადოს სხვადასხვა პრობლემა შეუქმნას უმრავლესობაში მყოფ აქციონერს. უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერუ მუდმივად ასაჩივრებს საერთო კრების გადაწყვეტილებებს. შესაბამისად უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიერ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრის გამო ზიანი არ უნდა მიადგეს საწარმოს.

⁶⁸ ბურდული ი., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები გვ348

სამეწარმეო საქმიანობა სამართლებრივთან ერთად უფრო ეკონომიკური კატეგორიაა. ეკონომიკური ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია ინვესტირების სიჩქარე, გადაწყვეტილების სიჩქარე და ამ გადაწყვეტილების აღსრულება. ამიტომ უმცირესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება გახდეს ინვესტირების შემაფერხებელი, ვიდრე მასტიმულირებელი. შესაბამისად სააქციო სამართალი უნდა ზრუნავდეს, რომ უმცირესობის მხრიდან შემოწმდეს ის, რისი შემოწმებაც შეიძლება შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის.

ხმის უფლება არის, თითოეული აქციონერისათვის კანონით განმტკიცებული ძირითადი უფლება. გერმანიაში რამდენიმე გადაწყვეტლება იქნა მიღებული პარტნიორთა მხრიდან ერთგულების მოვალეობის გამოჩენასთან აკავშირებით. აქციონერის ვალდებულებას წარმოადგენს ერთგულების მოვალეობა. ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში აქციონერის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს მოვალეობას მის მიერ შენატანის განხორციელებასთან ერთად, სწორედ ერთგულების მოვალეობას გამოყოფენ. თუ პარტნიორი ისე იმოქმედებს, რომ ზიანი მიადგება საზოგადოებას ასეთ შემთხვევაში, მაშინ დანარჩენ პარტნიორებს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ერთგულების მოვალეობას რამდენიმე მნიშვნელოვანი აქვს. მისი შინაარსი არმოდენიმიე სახისაა. კერძოდ: იგი მოქმედებს, როგორც საერთო მიზნის მიღწევის შესაძლებლობისკენ მიმართული მოთხოვნა; როგორც საწარმოსთვის ზიანის მიყენების აკრძალვის მოთხოვნა, ასევე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომელიც ზიანს მიაყენებს საწარმოს. შესაბამისად აღნიშნული დაკავშირებულია, რომ პარტნიორმა მიიღოს პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება.

მეწარმეთა შესახებ კანონი ადგენს ინფორმაციის მიღების ზოგად წესს, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში არსებული ნორმის მიხედვით საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს უფლება

თავისუფლად მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. ასევე უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე. საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლებელია ამ უფლების გაფართოება. აქციონერის ინფორმაციის და კონტროლის უფლება შესაძლებელია გახდეს მისი მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების საწინდარი. ამიტომ სააქციო საზოგადოება რომ შეიცავდეს შეზღუდვებს, რაც შეუძლებელს გახდიდა აქციონერთა მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და გარკვეულ ფარგლებში მოაქცევდა მას.

აქციონერის ინფორმაციის უფლება ფორმულირებულია, როგორც ყოვლი აქციონერის დამოუკიდებელი უფლება. აქციონერის ეს ინდივიდუალური უფლება აქციონერს აძლევს უფლებას მიიღოს უხარვეზო, ნამდვილი და უტყუარი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ. მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე პირი უნდა იყოს ის რომელიც ერ აქციას მაინც ფლობს.

აღსანიშნავია რომ აქციონერმა საერთო კრებაზე, შეიძლება პირადად არ მიიღოს მონაწილეობა. შეიძლება იგი წარმოდგენილი იყოს აქციონერთა კრებაზე მისი წარმომადგენლის მეშვეობით.

ქართული საკორპორაციო სამართალი, რა თქმა უნდა იცნობს პარტნიორის ინფორმაციის უფლებას. კონტროლის უფლება და ინფორმაციის უფლება განხილულია მეწარმეთა შესახებ კანონში. ზოგად დანაწესთან ერთად „მეწარმეთა შესახებ“ კანონი შეიცავს ასევე სპეციალურ ნორმას აქციონერის ინფორმაციის უფლებასთან დაკავშირებით. აქციონერი ძირითადად ინფორმაციის უფლებას იყენებს საერთო კრებაზე. შესაბამისად აქციონერს აქვს უფლება აქვს საწარმოს შესაბამის ორგანოებს, მოსთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია რაც დაკავშირებულია საერთო კრებაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

6.2 კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, როგორც პარტნიორის გარიცხვის საფუძველი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტი არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო. აღნიშნულ ორგანოში რეგისტრაცი გულისხმობს რეგისტრირებული მონაცემების საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინერესოა.

მოსარჩელე მოითხოვდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულებას განეხორციელებინა საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია. დადგინდა რომ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანების შეუტანლობის გამო საწარმოს 25 პარტნიორიდან გაირიცხა 24 პარტნიორი. სასამართლოს შეფასებით დარღვეული იყო გარიცხვის შესახებ შპს-ს წესდებით გათვალისწინებული პროცედურა.

სასამართლომ განმარტა, რომ შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის გამო გარიცხვისთვის აუცილებელია სასამართლოსთვის მიმართვა.

მოცემული გარემოების შესაბამისად, შპს დაფუძნდა 2000 წელს. 2010 წლის 30 იანვარს შპს-ს დამფუძნებელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა 76% წილის მქონე პარტნიორები. კრებამ დაადგინა საზოგადოების კაპიტალის გაზრდა 10000 ლარის ოდენობით, განისაზღვრა თითოეული პარტნიორის შესატანი თანხა და ვადა. წესდების მიხედვით, თუ პარტნიორი არ შეიტანდა შენატანს ხუთი თვის განმავლობაში, ნებისმიერი პარტნიორი წერილობით აცნობებდა მას საზოგადოებიდან გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ

2010 წლის 27 ივლისს ჩატარდა შპს-ს დამფუძნებელთა კრება, დღის წესრიგით, საზოგადოების კაპიტალში წილის შეუტანლობის გამო პარტნიორთა გარიცხვის შესახებ.

კრებას ესწრებოდა 72% წილის მქონე პარტნიორები. კრებამ დაადგინა საწესდებო კაპიტალში შენატანის შეუტანლობის გამო, პარტნიორთა გარიცხვა საზოგადოებიდან.

2010 წლის ივლისში შპს დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რაც ოქმის შესაბამისად საზოგადოების კაპიტალის გაზრდასა და პარტნიორთა გარიცხვას ეხებოდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის გადაწყვეტილებით შპს დირექტორს დაუდგინდა ხარვეზი, რათა წარედგინა დამატებით დოკუმენტი, როთიც დადასტურდებოდა იყო თუ არა პარტნიორთა კრების მიერ შენატანის შეტანის ვადა, გაეზავნა თუ არა წერილობითი შეტყობინებები პარტნიორებს და განესაზღვრათ თუ არა მათ დამატებით ორ თვიანი ვადა შენატანის შეტანისთვის

2010 წლის გადაწყვეტილებით, შპს-ს დირექტორს უარი შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის რეგისტრაციაზე.

შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის გადაწყვეტილებაზე, დირექტორმა საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს. 2010 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თმის შესახებ, იმ მოტივით, დაინტერესებული პირის მიერ ვერ იქნა წარდგენილი იმ გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი რომ შპს-ს 2010 წლის ივლისში დამფუძნებელთა კრების ოქმში მითითებულ პარტნიორთა მიერ არ იქნა შესრულებული ის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც გამოიწვევდა საზოგადოებიდან გარიცხვას.

მოსარჩელეს არც სასამართლოსთვის წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები, რაც საზოგადოების 24 პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობას დაადასტურებდა, ასევე არ

ყოფილა წარმოდგენილი გარიცხულ პარტნიორებზე 2010 წლის 27 ივლისს პარტნიორთა კრების ოქმის გაგზავნისა და ჩაბარების თაობაზე.

სასამართლოს მითითებით, სმაოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად თთეულმა მხარეებ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზე იგი მაცარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მეწარმეთა შესახებ საქარტველოს კანონის მე-5 პრიმა მულის მიხედვით, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს.

აღნიშნული ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის უფლებას, რეესტრში მიღებული გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად უზრუნველყოს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არის მითითებული სარეგისტრაციო განაცხადში.

სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილებას ხელს აწერს საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი.თუ ცვლილებას წარმოადგენებ პარტნიორები, მას ხელი უნდა მოაწეოს პარტნიორებმა რეესტრში რეგისტრირებული გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად. იგი გადამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი წესით.სარეგისტრაციო განაცხადის იურიდიულ ძალას იძენს მხოლოს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია., გარდა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა.

მარეგისტრირებელი ორგანოს უარის საწარმოს რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქარტველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მიხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვროს თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შესაბამისად, თუწესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში შპს-ს 2000 წლის 4 თებერვალს მიღებული წესდების მე-3 მუხლით განისაზღვრა საზოგადოებაში პარტნიორთა მიერ შენატანების და მიერ შენატანების და შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საზოგადოებიდან მათი გარიცხვის წესები.

აღნიშნული წესდებით, თუ პარტნიორი გადააცილებს საწესდებო კაპიტალში ძირითადი ან დამატებითი შესატანის შეტანის ვადას, ნებისმიერი სხვა პარტნიორი წერილობით ატყობინებს მას აღნიშნულის შესახებ და უნიშნავს დამატებით ვადას და განმარტავს შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში საზოგადოებიდან გარიცხვის შესაძლებლობას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორთა კრებას შეუძლია გარიცხოს პარტნიორი საზოგადოებიდან

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორის შპს-ს დირექტორის 2010 წლის წლის 3 მაისს საზოგადოების დანარჩენ პარტნიორებს დაეგზავნათ წერილობითი გაფრთხილებები, იმის თაობაზე რომ ორი თვის ვადაში საწესდებო კაპიტალში შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში პარტნიორი გარიცხებოდა საზოგადოებიდან.

საზოგადოების წესებით, გათვალისწინებულია, რომ გარიცხულ პარტნიორს გააქვს მის მიერ შეტანილი წილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, იქედან გამომდინარე ვერ იქნა დადასტურებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და საზოგადოების წესდების მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

პარტნიორთა მიერ შენატანის შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა პარტნიორთა გარიცხვის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩლემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში შემდეგი საფუძვლებით.

შპს-მ სრულად გამოასწორა ხარვეზი, რაც დაადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების მოთხოვნის წარდგენილ განცხადებაზე.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად იმსჯელა შპს-ს პარტნიორების გარიცხვის თაობაზე მათთვის შეტყობინების ჩაბარებასთან დაკავშირებით. აპელანტმა მიუთითა რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა საზოგადოების წესდები პუნქტები და ის გარემოება რომ 2010 წლის 27 ივლისს დამფუძნებელ პარტნიორთა საერთო კრებას ესწრებოდა 72% წილის მფლობელი პარტნიორები.

ამდენად მათთვის ცნობილი იყო უშუალოდ გარიცხვასთან დაკავშირებული სხდომის დღე. იმ პარტნიორებს კი, რომლებიც არ ესწრებოდნენ სხდომას ჩაბარდათ 2010 წლის მაისის წერილობითი შეტყობინებები გარიცხვასთან დაკავშირებით და მათ არ გაუსაჩივრებიათ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დაეთანხმა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დამატებით დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

შპს-ს წესდებით ყველა პარტნიორი ვალდებულია შეიტანოს თავისი წილი საზოგადოების წესდებაში ამ წესდებით განსაზღვრული ოდენობით, ფორმითა და წესით და დამატებითი შენატანები საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

პალატამ დაადგინა, რომ შპს-ს დამფუძნებელთა კრების სხდომას , რომელიც 2010 წლის 30 მარტს გაიმართა, ესწრებოდნენ საზოგადოების დამფუძნებლები, პარტნიორებიდან 76% ხმის უფლების მქონე პარტნიორები. აღნიშნულ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე. აღნიშნული თანხა თითოეულ პარტნიორს თავისი წილის პროპორციულად უნდა შეეტანა. პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე იმ პარტნიორების იმფორმირების ფაქტი , რომლებიც 2010 წლის 27 ივლისს დამფუძნებელთა კრების სხდომას არ ესწრებოდნენ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებითარ დასტურდება აღნიშნული პარტნიორებისთვის შენატანის შეტანის მიზნებისთვის ხუთ თვიანი ვადის თაობაზე შეტყობინების გაკეთების თაობაზე. დასტურდება მხოლოდ ყველა პარტნიორისათვის დამატებითი 2 თვიანი ვადის თაობაზე ინფორმაციის მიღების ფაქტი.

პალატამ მიიჩნია, რომ წესდების ზემოთხსენებული პუნქტებიდან გამომდინარე სავალდებულოდ მიიჩნევა ინფორმაციის მიზოდების ფაქტს და მათთვის პარტნიორთა წილის გაზრდის თაობაზე ძირითადი და დამატებითი ვაიდს განსაღვრას.

ამდენად, პალატა იზიარებს ამ მიმართების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორთა გარიცხვა არ შეესაბამებოდა ამ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ პროცდეურას.

შპს-ს წესდებით, მითთებულია, რომ თ პარტნიორი ამ ვადაშიც არ შეიტანს შენატანებს, პარტნიორთა კრებას შეუძლია გარიცხოს ის საზოგადოებიდან.

პალატა მიიჩნევა, რომ საზოგადოების წესდებით აღნიშნული ფორმულირება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებებს რომ საზოგადოების ყველა პარტნიორი ინფორმირებული უნდა იყოს

განხორციელებისთვის დადგენილი ძირითადო და ასევე დამატებითი ვადის თაობაზე.

მართალია წესდებაში აღნიშნული პუნქტი იძლევა წილის შეტანის შეუტანლობის გამო პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, თუმცა იმპერატიულად ასრულებს საამისო უფლებამოსილებას პარტნიორებისათვის.

მოცემული წესდების მიხედვით კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მის მუშაობაში მონაწილე დამფუძნებლები ხმათა საერთო რიცხვის უმეტესობას ფლობენ.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა რომ ადამატებითი შენატანი 25 პარტნიორიდან მხოლოდ ერთმა განახორციელა.

ამდენად დარჩენილმა პარტნიორებმა რომლებმაც 2010 წლის 27 ივლისს სხდომაზე პარნიორთს კრების მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, გადაწყვეტილება მიიღეს საზოგადოებიდან საკუთარი თავი გარიცხეს, მაშინ როდესაც შპს-ს წესდების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილების მიღება შეეხება უშუალოდ ამა თუ იმ პარტნიორის ინტერესებს, ეს პარტნიორი ამ საკითხის კენჭისყრაში არ მიიღებს მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა როცა ის საწესდებო კაპიტალის ნახევრის ან მეტის მფლობელია. პალატა მიიჩნევს რომ ამ მიმართებითაც პარტნიორთა გარიცხვის ფორმა სპს-ს წესდებით გათვლისწინებულ რეგულაციებთან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შპს -ს პარტნიორებიდან წილის გაზრდის შესაბამისად შპს-ს ერთმა პარტნიორმა განახორციელა შენატანი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე დასაბუთებულია.

სასამართლომ დაასაბუთა, რომ „მეწარმეთა შესახებ, კანონის თანახმად საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების გადანაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 4 პრომა პუნქტის შესაბამისად, პარტნიორების დასახელება და მათი წილი კაპიტალში მიეკუთვნება იმ ინფორმაციათა კატეგორიას, რომლის საარო რეესტრში რეგისტრაცია შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დადგომის მიზნებისათვის სავალდებულოა. შესაბამისად, სავალდებულოა აღნიშნული მონაცემების ცვლილების შეტანის რეგისტრაცია.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, პარტნიორებს შეუძლიათ წესდების გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შეტანის წესი და ვადა. აღნიშნული დანაწესი, თავისი შინაარსობრივი დატვირთვის და სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას, რაცბგულისხმობს რომ აღნიშნული მუხლის შესაბამისი პუნქტი სწორედ რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხს არეგულირებს შენატანის სრულად ან ნაწილობრივ შეუტანლობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მუხლით საზოგადოებიდან პარტნიორთა გარიცხვის საკითხის მოწესრიგება საზოგადოების წესდებით დასარეგულირებად საკითხს განეკუთვნება. ამდენად კანონი ირიბად, თუმცა მაინც საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას დასაშვებად მიიჩნებს.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებასა და პარტნიორს შორის გარკვეულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს. პალატა მიიჩნებს, რომ არმიშნული უნდა დარეგულირდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღოდეს არა მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, არამედ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორის ნამდვილი ნების და ფაქტობრივი მდგომარეობის სრულყოფილი გამოკვლევების შედეგად დაადგენს შპს-დაბ პარტნიორის გარიცხვის სამართლიანობას.

შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვის წინაპირობას არის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება, სასამართლომ უნდა მიიღოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და გარიცხული პარტნიორის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნებისთვის სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილება, პარტნიორის გარიცხვის თაობაზე ცვლილებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის, მით უმეტეს როდესაც 25 პარტნირიდან 24 პარტნიორის გარიცხვას ეხება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად პარტნიორების სრული თანხმობისა, საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღოდეს პარტნიორთა სასამართლო წესით დადასტურებული ნება და პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის სასამართლოს მიერ დადასტურებული ფაქტი.

ამდენად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი.⁶⁹

მოცემულ სასამართლო გადაწყვეტილება არის სწორი სამართლებრივი შეფასების მაგალითი, როდესაც არ დააკმაყოფილა აღნიშნული პარტნიორთა გარიცხვის მოთხოვნა. როდესაც საუბარია საწესდებო კაპიტალის გაზრდაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს

⁶⁹ ას-1060-1090-2011

წესდებით განსაზღვრული შეთანხმება, სწორედ, რომ უნდა მოხდეს საწესდებო კაპიტალში ცვლილების განხორციელება, ვინაიდან აღნიშნული საწესდებო კაპიტალი წილთა თანაფარდობაზე აისახება. ვფიქრობ, იმპერატიულად მოსაწესრიგებელი საკითხია, რომ თითოეულ პარტნიორს მიეცეს საწესდებო კაპიტალში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა და აუცილებლად სხვა პარტნიორებთან შეთანხმებით. თუმცა სხვა პარტნიორების დავალებულია, რომ განახორციელონ კაპიტალში შენატანის განხორციელება და თუ თ არ განახორციელებენ ისინი უნდა გაირიცხონ არის არამართლზომიერი. კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს და უნდა იყოს იმპერატიული მოთხოვნა, ამგვარად ყველა პარტნიორს ჰქონდეს საწესდებო კაპიტალში წილის ცვლილების შესაძლებლობა სხვა პარტნიორებთან შეთანხმებით მაგრამ თანხის შეუტანლობით პარტნიორები არ უნდა გაირიცხონ საზოგადოებიდან.

აუცილებელია დადგინდეს პარტნიორთა ნებით გამოვლენილი გადაწყვეტილება და არ მოხდეს პარტნიორთა კრებაზე მეტი წილის მქონე აქციონერის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთვევაში სასამართლომ მიიღო მართლზომიერი გადაწყვეტილება.

6.3 პარტნიორთა წილობრივი მონაცემების ცვლილება

მეწარმეთა და არაასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს 1997 წლიდან რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. საზოგადოებას ჰყავს ოთხი დამფუძნებელი პარტნიორი პროცენტულობა შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ერთ პარტნიორს აქვს 22%, მეორე პარტნიორს 10%, მესამეს 3%, მეოთხე პარტნიორს 65%.

2013 წლის 25 ოქტომბერს პარტნიორთა კრებას, რომელსაც ესწრებოდა, 65%-იანი წილის მფლობელის წარმომადგენელი, ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება შპს-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე. პარტნიორებს დაევაღათ 2013 წლის 25 ნოემბრამდე თავიანთი წილის პროპორციულად შენატანების განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი წილი განისაზღვრებოდა შენატანის შესაბამისად, რომელიც იყო განსაზღვრული.

2013 წლის 25 ოქტომბერს ჩატარებული პარტნიორთა კრების დღის წესრიგში მითითებულია, რომ საწესდებო კაპიტალის გაზრდა გამოწვეული იყო კომპანიის შეუფერხებელი საქმიანობისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით, როგორცაა კრედიტორთა წინაშე არსებული დავალიანების ზრდის შეჩერება, გადასახადებისა და მოსაკრებლის დაფარვა და მათი კაპიტალიზაცია. ერთ-ერთი პარტნიორი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე და წერილობით ითხოვდა მტკიცებულებებს დავალიანების შესახებ.

შპს-ს 2013 წლის პარტნიორთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა პარტნიორი 65%-იანი წილის მფლობელის და ასევე 22%-იანი წილის მფლობელის წარმომადგენლები ხმათა უმრავლესობით, (65%-იანი წილის მფლობელის გადაწყვეტილებით) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების წესდების გაუქმების, ახალი წესდები დამტკიცების, საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის და

პარტნიორთა წილების და პარტნიორთა წილების განსაზღვრის თაობაზე. ვ.კ-ს წილი განისაზღვრა 97.3%-ით, დ.ზ 1,7%-ით, მ.კ 0.8%-ით, ლ.ს 0.2%-ით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შპს-ს უარი ეთქვა 2013 წლის 2 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებას არ ახლდა პარტნიორების მიერ სათანადო წესით დამოწმებული გადაწყვეტილება წილების ხელახალი განაწილების და შესაბამისი ცვლილების განხორციელების თაობაზე „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოფარგლდება, მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისთვის. შეზღუდული პასუხისმგებლობის კაპიტალი დაყოფილია დაყოფილია წილებად, წილი არის მიმოქცევადი უფლება.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 პრინციპი მუხლის მე-7 პუნქტით, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტით საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ საზოგადოების

დამფუძნებელთა კრებები მოწვეული იყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და წესდების შესაბამისად. სადავოდ ხდიან მხოლოდ იმ გარემოებას, რომ კრებებზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ აისახა პარტნიორთა უფლებებზე მიღებული უნდა ყოფილიყო ხმათა უმრავლესობით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5¹ პუნქტით თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის მე-5² თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დ. ზ. არ ეთანხმებოდა შპს „ს.-ს“ სადავო კრების ოქმებით გათვალისწინებულ დღის წესრიგს, 2013 წლის 02 დეკემბერს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია, რომლის საფუძველზეც წილის უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭა დანარჩენ პარტნიორებს, ამასთან წილის გასხვისებისათვის აუცილებელ პირობად ჩაიდო პარტნიორთა გადაწყვეტილება, წესდებაში აისახა პარტნიორთა გარიცხვის წესი და ვალდებულებები (წესების მე-6, მე-7 მუხლები). ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და პარტნიორთა წილების ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე, რომლის შესაბამისად შპს „ს.-ს“ საწესდებო კაპიტალი გაიზარდა. 2005 წლის 25 ოქტომბრის კრების ოქმით დადგენილ გაზრდილ საწესდებო კაპიტალში შენატანის შეუტანლობის გამო, მათ შორის 22%-ის წილის მქონე დ. ზ.-ს

მიერ შენატანის შეუტანლობის გამო, პარტნიორთა წილები საზოგადოებაში განისაზღვრა შემდეგი პროპორციულობით: ვ. კ. 97.3% დ. ზ. 1.7%, მ. კ. 0.8%, ლ. ს. 0.2%.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ს.-ს“ 2013 წლის 25 ოქტომბერს და 2013 წლის 02 დეკემბერს პარტნიორთა კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებები და წესდების ახალი რედაქცია დ. ზ.-ს აკისრებს ისეთ ვალდებულებებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე. ამასთან დ. ზ.-ს წილის 22%-ის 1.7%-მდე შემცირება პირდაპირ აისახება მოსარჩელის ხმის უფლებაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე აღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებული უნდა ყოფილიყო ყველა პარტნიორის მიერ ერთხმად.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მიუხედავად დ. ზ.-ს მოთხოვნისა მოპასუხეს არ წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები თუ რა გარემოებით იყო გამოწვეული საწესდებო კაპიტალის გაზრდა და რით დასტურდებოდა კომპანიის მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

მოცემულ შემთხვევაში ვ. კ.-ს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ შპს „ს.-ს“ 2013 წლის 02 დეკემბერს მიღებული პარტნიორთა გადაწყვეტილება რეგისტრირებული იქნეს საჯარო რეესტრში. თუმცა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებები დ. ზ.-ს სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს ვ. კ.-ს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პრიმა და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-5 სექუნდა მუხლები რაც გამოიხატა შემდეგში: მოსარჩელე ვ. კ. წარმოადგენს შპს „ს.-ს“ პარტნიორს, რომელიც სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროისათვის ფლობს საწესდებო კაპიტალის 65%-ს. შპს „ს.-ს“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული სამეწარმეო იურიდიული პირია, რომელსაც სარჩელის სასამართლოში წარდგენის დროისათვის ჰყავდა 4 პარტნიორი. დღეისათვის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეადგენს ვ. კ. - 65%, დ. ზ. - 22%, მ. კ. 10%, ლ. ს. - 3%.

2013 წლის 25 ოქტომბრისა და 2013 წლის 2 დეკემბრის პარტნიორთა რიგგარეშე კრებები მოწვეული და ჩატარებული იქნა მეწარმეთა შესახებ კანონისა და საზოგადოების მოქმედი წესდების მოთხოვნათა შესაბამისად. 2013 წლის 25 ოქტომბრის პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრებაზე დასაბუთებული იქნა სათანადოდ საწესდებო კაპიტალის გაზრდის საჭიროება, საწესდებო კაპიტალის გაზრდა აუცილებელი გახდა კომპანიის შეუფერხებელი საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით, კრედიტორების წინაშე არსებული დავალიანების ზრდის შესაჩერებლად. გადასახადებისა და მოსაკრებლების დაფარვისა და მათი კაპიტალიზაციისათვის.

გადაწყვეტილებები, რომლებითაც 2013 წლის 25 ოქტომბერს ჯერ გაიზარდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, ხოლო შემდეგ მოხდა გაზრდილ საწესდებო კაპიტალში პარტნიორების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული მენატანის პროპორციულად მათი წილების შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა, არ მიეკუთვნება იმ

სახის გადაწყვეტილებებს, რომლის მიღებისთვისაც მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად აუცილებელია ყველა პარტნიორის თანხმობა, ვინაიდან, აღნიშნულ გადაწყვეტილებებს არ უმოქმედია პარტნიორთა ფუნდამენტურ უფლებებზე, როგორცაა ხმის უფლება, მოგება/ზარალში პარტნიორის წილი და უფლება საზოგადოების ლიკვიდაციისას პარტნიორმა მიიღოს მისი წილია შესაბამისი ქონება.

მეწარმეთა შესახებ კანონით, საზოგადოების პარტნიორის უფლება განისაზღვრება მის მიერ კაპიტალში განხორციელებული შენატანით. სანამ ეს შენატანი ხელუხლებელია და ამ შენატანის პროპორციულია პარტნიორის უფლება. ამ უფლების დარღვევაზე საუბარი შეუძლებელია. 2013 წლის 25 ოქტომბრის და 213 წლის 2 დეკემბრის საერთო კრებაზე არავინ შეხებია თითოეული პარტნიორის შენატანს, ეს შენატანი დარჩა ზუსტად იმ ოდენობით, რაც განხორციელა ყოველმა პარტნიორმა. ხოლო ის ფაქტი, რომ პარტნიორის კონკრეტული შენატანის ოდენობა საერთო კაპიტალში გამოხატული პროცენტებით შეიძლება ხან გაიზარდოს და შემცირდეს საერთო კაპიტალის ოდენობის ცვლილების პარალელურად, ეს არითმეტიკული განზომილებაა და პარტნიორის უფლების რაიმე დარღვევასთან კავშირი არ აქვს.

2013 წლის 25 ოქტომბერს და 2013 წლის 2 დეკემბერს პარტნიორთა რიგგარეშე კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებით არ მომხდარა პარტნიორების რეგისტრირებული უფლებების (საწარმოში მათი კუთვნილი წილის) გაუქმება - მათ დარჩათ მათ მიერ ფაქტობრივად განხორციელებული შენატანის პროპორციული უფლება. ვინაიდან, საზოგადოების პარტნიორების მიერ არ შესრულდა დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება, 2013 წლის 2 დეკემბერს პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მათ მიერ ფაქტობრივად განხორციელებული შენატანის შესაბამისი წილის პროცენტული მაჩვენებელი შეიცვალა, მაგრამ ამას საერთო არაფერი აქვს პარტნიორის უფლებების ხელყოფასთან.

საწესდებო კაპიტალის გაზრდა არ განიხილება პარტნიორთა წილების (შენატანების) შემცირების გამომწვევ გარემოებად. ცვლილება შეიძლება მხოლოდ წილის პროცენტულ მაჩვენებელზე აისახოს. საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს ხდება არა პარტნიორთა წილების შეცვლა, არამედ დამატებითი შენატანების ასახვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რასაც შედეგად მოსდევს პარტნიორთა შენატანების გასაზღვრა პროცენტულად გაზრდილ საწესდებო კაპიტალთან მიმართებაში, რაც არ გულისხმობს პარტნიორთა წილების შეცვლას ან შემცირებას.

სასამართლომ ერთ შემთხვევაში აღნიშნა, რომ კომპანიის 2013 წლის 25 ოქტომბრისა და 2 დეკემბერს მიღებული პარტნიორთა გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოდის მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პრიმა და მე-5 სექუნდა პუნქტებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნა, რომ თითქოს სასამართლოსათვის არ მომხდარა კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების დამადასტურებელი და საწესდებო კაპიტალის გაზრდის აუცილებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რაც თავისთავად არ შეესაბამება სიმართლეს. თუ სასამართლო ავითარებს მსჯელობას, რომ განსახილველ შემთხვევაში დ. ზ.-ს წილის პროცენტული მაჩვენებლის შემცირება კანონსაწინააღმდეგოა და წინააღმდეგობაში მოდის მეწარმეთა შესახებ კანონის ზემოაღნიშნულ დებულებებთან, მაშინ კიდევაც, რომ დადასტურებულიყო უტყუარად საწარმოს საწესდებო კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა და საწარმოს დავალიანების ფაქტი, გასაჩივრებული პარტნიორთა გადაწყვეტილებები ნებისმიერ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ხასიათის იქნებოდა.

შპს „ს.-ს“, როგორც 2013 წლის 25 ოქტომბრის, ასევე 2013 წლის 2 დეკემბერის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები სრულ შესაბამისობაშია მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებთან, რის გამოც ვ. კ.-ს სასარჩელო მოთხოვნა - 2013 წლის 2 დეკემბრის

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შედეგების აღიარების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. ზ.-ს სასარჩელო მოთხოვნები შპს „ს.-ს“ პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობის ნაწილში მოკლებულია საფუძველს.

სააკლაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. სასამართლო მიიჩნევს რომ პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს საწესდებო კაპიტალის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისი ნორმები არ ადგენენ კონკრეტულად საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ საკუთხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების რაიმე სავალდებულო წესს. საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ნამდვილობისთვის აუცილებელი არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება. პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების მათ შორის კაპიტალის გაზრდის შესახებ უნდა განსაზღვროს საზოგადოების პარტნიორებმა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ კანონიერად სცნო კაპიტალის ცვლილების ფაქტი.⁷⁰

⁷⁰ ას-412-395-2016

ვფიქრობ, სასამართლომ მართლზომიერი გადაწყვეტილება მიიღო როდესაც სცნო კაპიტალის ცვლილების ფაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება ცხადყოფს რომ არსებობს საკითხი საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მოწესრიგდეს კანონის საფუძველზე იმპერატიული ნორმებით. საწესდებო კაპიტალის ცვლილება, ვფიქრობ თანმდევი პროცესია თუ ზოგი აქციონერი ზრდის საწესდებო კაპიტალს, რადგან მას ამ შემთვევაში მისი მოთხოვნით ეზრდება წილი. კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს იმპერატიულად რომ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება უნდა იწვევდეს საწესდებო კაპიტალის წილთა ცვლილებას.

შედეგები და მათ განსჯა

მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები.

მეწარმეთა შესახებ კანონი არ არეგულირებს კონკრეტულად მინიმალურ საწესდებო კაპიტალს და კანონი ამლევს შესაძლებლობას პარტნიორებს თავად მოაწესრიგოს წილის ცვლილებასთან და შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

განხილული სასამართლო გადაწყვეტილებები მიუთითებს აღნიშნული საკითხის პრობლემაზე, ვინაიდან წესდებით დარეგულირებულმა საკითხმა შესაძლებელია სრულიად უსაფუძვლოდ გამოიწვიოს პარტნიორის გარიცხვა შენატანის შეუტანლობის გამო, აგრეთვე, არ გაეზარდოს წილი პარტნიორს მიუხედავად იმისა რომ განახორციელა შენატანი. ყოველივე აღნიშნულ საკითხი უნდა მოწესრიგდეს იმპერატიული ნორმებით და აუცილებლად უნდა განისაზღვროს კანონმდებლობაში.

საწესდებო კაპიტალი არის „ფუნდამენტი“ საწარმოს არსებობის და განხორციელებული შენატანი აუცილებლად უნდა აისახოს საწესდებო კაპიტალში, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტნიორებმა შენატანი უნდა განახორციელოს საზოგადოების კაპიტალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეიმნას სპეციალური ნორმები, რაც განაპირობებს აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას და არ უნდა იყოს მხოლოდ საზოგადოების წესდებაზე დამოკიდებული.

კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს რომ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანი სწორედ აისახება პარტნიორთა წილებზე.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი დაეთმო საწარმოს საწესდებო კაპიტალში არსებული წილის ცვლილებას საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსი, მისი მნიშვნელობა, განვიხილეთ ევროკავშირის დირექტივები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საწესდებო კაპიტალი აქტუალური საკითხია, ზოგ ქვეყანაში განისაზღვრება სავალდებულო მონიშვნა, ხოლო ზოგან სავალდებულო საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული არ არის.

აღნიშნეთ, სავალდებულო საწესდებო კაპიტალი დაკავშირებულია უშუალოდ პარტნიორთა წილებთან და ცვლილება სწორედ, რომ აისახება პარტნიორთა წილთა თანაფარდობაზე.

განვიხილეთ საწესდებო კაპიტალისა და საზოგადოების კაპიტალის მნიშვნელობა, რადგან საწესდებო კაპიტალი უშუალოდ წილებთანაა დაკავშირებული, ხოლო საზოგადოების კაპიტალი პარტნიორთა წილებს არ განსაზღვრავს და აუცილებელია განისაზღვროს განსხვავება, როგორც სასამართლოს მიერ ასევე უშუალოდ პარტნიორები მიჯნავდნენ არსებულ განსხვავებას.

განვიხილეთ არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა საწესდებო კაპიტალის ცვლილებას, როდესაც პარტნიორები შენატანს ახორციელებენ უშუალოდ საწესდებო კაპიტალში. საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელება უნდა აისახოს უშუალოდ პარტნიორთა წილებზე და აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით იმპერატიულად უნდა დარეგულირდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა პრობლემა საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობით, იმპერატიული ნორმებით უნდა განისაზღვროს რომ საწესდებო კაპიტალში შენატანი უნდა აისახოს, როგორც კაპიტალში წილის ცვლილების ფაქტი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ”მეწარმეთა შესახებ” კანონი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საჯარო რეესტრის შესახებ კანონი
- მახარობლიშვილი გ., მართლმსაჯულება და კანონი
- მახარობლიშვილი ი., „კაპიტალურ საზოგადოებათა სტუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა საფუძველზე“;
- გომხეთელიანი ნ., გალდავა დ., „საწესდებო კაპიტალი ქართულ კანონმდებლობაში - შედარებით სამართლებრივი ანალიზი და ალტერნატიული მოწესრიგება,სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ. თბილისი, დეკემბერი #4, 2015
- კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია,
- ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა,თბილისი
- თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ლილუაშვილი
- კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, ჯუღელი.
- ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში.ბურდული.გვ
- ბაქაძური ნ.,გელტერი მ.,ცერცვაძე ლ.,ჯუღელი გ.სახელმძღვანელო იურისტებისთვის
- ჯუღელი „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“
- სამართლის ჟურნალი #2;მგელაძე;
- თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი,ქოქრაშვილი ქ,გორგაძე
- <https://napr.gov.ge/p/616>
- <https://forbes.ge/news/1219/umciresobis-saxeliT>
- <http://www.g-p.ge/files/upload-file/pdf/newsletter-10.pdf>
- ას-1060-1090-2011
- ას-412-395-2016
- სააპალაციო სასამართლოს გადაწყვეტილება #28/8118-19